ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 37 (6531) 17 სექტემბერი ხუთშაბათი 1992 წელი

## თავდაცვის ფონდში

საქართველოს ეროვნული არმია სისხლის ფასად იცავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. დღევანდელ მძიმე დროში ომიც არ იყოს, ეროვნულ გვარდიას, როცა ის ის არის ყალიბდება, ისევე სჭირდება როგორც სამთავრობო, სახელმწიფოებრივი ზრუნვა, ასევე საზოგადოებრივი თანადგომა, სჭირდება აღჭურვილობა, სურსათი, ტანსაცმელი. მთელი რესპუბლიკა აღსდგა ამ დღეებში ეროვნული გვარდიის დასახმარებლად.

ძვირფასო ლეჩხუმელებო! თქვენ არ გესწავლებათ დღევანდელობის სიმძაფრე, ამიტომ საქართველოს გადარჩენის, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, ჩვენც უნდა შევიტანოთ წვლილი. ეს პატრიოტული, ადამიანური მოვალეობაა.

როგორც იცით, ცაგერის აგრომრეწვბანკში გაიხსნა სპეციალური ანგარიში, რომლის ნომერია — 70006. ამ ანგარიშზე უკვე დაიწყო თანხების შეტანა. განსაკუთრებული წვლილი, 20000 მანეთი გაიღო ამ დიდ საქმეში ცაგერის № 23 საგზაო სამმართველოს კოლექტივმა. რაიონული საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა საკუთარი ხელფასიდან 2000 მანეთი ჩარიცხეს თავდაცვის ფონდში, საგადასახადო ინსპექციის მუშაკებმა 550 მანეთი, კოოპერატივმა „ლეჩხუმმა“ — 500 მანეთი.

## სკოლა — სატკივარი ჩვენი

ძველმა სტრუქტურებმა განათლების სისტემასაც თავისი დაღი დაასვა. ნეგატიური მოვლენები ამ სფეროშიც უხვად დამკვიდრდა, იმალა მექრთამეობამ, განუკითხაობამ. განათლების სფეროში ხშირად ხელმძღვანელებად არაკომპეტენტური პირები გვევლინებოდნენ და მათ მიერ დანერგილი „სიახლენი“ სკოლას საძირკველს უთხრიდა, იყო შემთხვევები, როცა ხელმძღვანელი მუშაკის შეცვლის შემდეგ მმართველობითი აპარატიც იცვლებოდა, ვითომდა სასიკეთო ძვრების გზით, სინამდვილეში კი ყველა თავისთვის სანდო ადამიანს ნიშნავდა. დამკვიდრდა უფროსისადმი მონური მორჩილება, იგნორირებულ იქნა „ურჩი“ მაღალპროფესიონალი, თუკი იგი [illegible] ნების შემსრულებელი არ იქნებოდა. უამრავმა მლიქვნელთა და მაამებელთა რიცხვმა, ენატანიობამ, მაბეზღარობამ, ვერაგობამ ფრთები შლიდა. გამარჯვებულნი ნაკლებად ფიქრობდნენ სკოლასა და მასწავლებელზე.

დაბალი მატერიალური ანაზღაურების გამო მამაკაცმა პედაგოგმა სკოლას ზურგი აქცია, არადა სკოლას მათი ხელი აკლია, ის კი არა, ძალიან სჭირდება, ამიტომ ყოველნაირად ხელი უნდა შევუწყოთ ახალგაზრდა, კვალიფიციური მამაკაცი მასწავლებლების სკოლაში მიბრუნებას.

სკოლას სჭირდება თანამედროვე, ყოველმხრივ განსწავლული და, რა თქმა უნდა, პროფესიონალი მასწავლებელი.

ამისათვის კი საჭიროა მასწავლებლის პირადი ინიციატივა, საკუთარ თავზე მუდმივი მუშაობა, პერიოდულად კვალიფიკაციის ამაღლება. სადღეისოდ კი კვალიფიკაციის ამაღლებელი ინსტიტუტი მის თავდაპირველ მოვალეობას ვერ ართმევს თავს. მუშაობის ფორმები თავისი შინაარსით კარგახანია დრომოჭმულია და მხოლოდ ე. წ. გეგმას თუ ასრულებს.

მასწავლებელთა კატეგორიებად დაყოფა ნაჩქარევად და არაობიექტურად ჩატარდა. ზერელედ ჩატარებულ ატესტაციას უმეტეს შემთხვევაში ადმინისტრაციის პირადი დამოკიდებულება და შეხედულება ედო საფუძვლად.

გასული ათწლეულების საერთოდ ცნობილმა პროცესებმა და ბოლო წლების კრიზისულმა მოვლენებმა ჩამოაყალიბა ზნეობით, კვალიფიკაციითა და ეკონომიური მდგომარეობით მასწავლებელთა ისეთი შემადგენლობა, რომ ერთი და იგივე თანამდებობის, სამეცნიერო ხარისხის და სტაჟის მქონე მასწავლებელთა მიერ გაწეული შრომის ფაქტიური ხარისხი ფრიად იცვლება.

ასეთი მასწავლებლებისათვის შრომის ანაზღაურების გათანაბრება სერიოზული ხასიათის ისეთი სოციალური უსამართლობაა, რომელიც არც თუ იშვიათად არსებითად აქვეითებს შრომის ხარისხის ამაღლებაში მასწავლებელთა დაინტერესებას. ამიტომ საჭიროა: საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონის მასწავლებელთა პროფესიული შეფასების ობიექტური სისტემის შექმნა და მათი შრომის ეკონომიკური სტიმულირების თანადროულობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ანუ ხელფასის ყოველწლიურად ცვალებადი სისტემის შემოღება; მასწავლებელთა მიერ გაწეული შრომის რაოდენობის, სირთულისა და ხარისხის ნომინალური და ფაქტიური მაჩვენებლების შემოღება; დაკავებული თანამდებობების, ოფიციალური განათლების, სამეცნიერო ხარისხის და მოცემულ თანამდებობაზე და ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟის მიჩნევა შრომის რაოდენობის, სირთულისა და ხარისხის ნომინალურ მაჩვენებლად და ამის მიხედვით მასწავლებლის ხელფასის მხოლოდ მინიმალური და უცვლელი ნაწილის განსაზღვრა; მასწავლებელთა ყოველწლიური ატესტაციების შემოღება და მათთვის რეიტინგების მინიჭება გასული სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული შრომის ფაქტიური რაოდენობის, სირთულისა და ხარისხის მაჩვენებლების მიხედვით; სასწავლო წლის დაწყებამდე მიმდინარე წლის მთელი პერიოდისათვის ხელფასის მინიმალურ დონეზე დანამატების განსაზღვრა დადგენილი რეიტინგების პროპორციულად.

ასეთი მექანიზმის ფორმირებისათვის კი აუცილებელია მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასებისათვის გამოცდების ორგანიზაციის არსებითი სრულყოფა.

გამოცდები უნდა ჩატარდეს სწავლის გასაგრძელებლად ყოველ მომდევნო დისციპლინაში იმავე მასწავლებლის მიერ, ვინც სწავლების შესაბამის მომდევნო ეტაპზე უშუალოდ უნდა წაიყვანოს სასწავლო საგანი. მას უნდა მიეცეს საშუალება საკუთარი მეთოდით (გამოცდით, გასაუბრებით, ტესტირებით) შეაფასოს მოსწავლეთა მომზადება და დატოვოს მხოლოდ ისინი, რომლებსაც თვითონ ჩათვლის ღირსეულებად. ამგვარად „ჩაჭრილი“ ანუ სასწავლო პროცესში „უკან დაბრუნებული“ მოსწავლეებისათვის მეორე ცვლაში (ან [illegible]) შემოღებულ იქნეს [illegible] სწავლება.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ლტოლვილები საკუთარ სამშობლოში

## ძნელია იმის გადმოცემა, რაც აფხაზეთში ხდება

**გვესაუბრება გუდაუთაში მცხოვრები ირაკლი მანდარია**

ძმურად და მეგობრულად ვცხოვრობდით ქართველები, აფხაზები, სომხები, ბერძნები თუ სხვა ერის წარმომადგენლები. დღეს რა ხდება, ვინ ჩააგდო ბოროტი თესლი ჩვენსა და აფხაზებს შორის? ახალგაზრდა კაცი ვარ და ასეთი დამცირება და აბუჩად აგდება არასდროს მიგრძვნია. დღეს ჩემს საკუთარ მიწაზე ლტოლვილი მქვია. რა საშინელი ყოფილა ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის განსაცდელი.

წარმოშობით ლეჩხუმელი, გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში ვცხოვრობ. ჩემი მამა-პაპა სოფელ ისუნდერშია დაბადებულ-გაზრდილი. მეც აქაურობას მოვაშურე, იქნებ ჩემი სამი პატარა — მიხეილი, დავითი და გარსევანი გადავარჩინო. დედ-მამა კი იქ დარჩა. დროებით გამოვექეცი სისასტიკეს, თუმცა რაღა გამოქცევაა. 7 დღე ვიყავით გზაზე, 28 აგვისტოს გამოსულებმა ძლივს ოთხ სექტემბერს მოვაღწიეთ აქ. ამ ხნის მანძილზე გუდაუთის აეროპორტში გვიღამდებოდა და გვითენდებოდა ჩემი წვრილი ცოლ-შვილით. როგორც იქნა მოხერხდა ჩვენი გადმოყვანა ვერტმფრენით ქუთაისში. ცოლ-შვილი სამშვიდობოზე დავაგულვე და მე უკან ვბრუნდები, მადარდებს ჩემი დედ-მამისა და ყველა იქ დარჩენილი ქართველის ბედი. განსაკუთრებით უჭირთ ეშერასა და კოლხიდას შორის დასახლებულ ქართველებს. რაც რამ გვაბადია, აშკარად ხელდახელ გვართმევენ, თავდაუცველობის, უიმედობის გარემოცვაა ირგვლივ. ყველა ქართველის მანქანას იტაცებენ, შემდეგ კი მანქანებით ოჯახებში შედიან და ხელდახელ მიაქვთ ყველაფერი. ჩვენს კარისყურის მეზობელთან ჩართული ტელევიზორიც თავის ხელით გამოთიშეს, აიღეს, მანქანაში ჩადეს და წაიღეს.

მამაჩემი ვეტექიმია, 25 წელია იქ ვცხოვრობთ, უამრავი მეგობარი გვყავს, რა თქმა უნდა, აფხაზიც, მაგრამ ისე შეიცვალა ყველაფერი, რომ ამ სიტუაციაში სამედო უკვე აღარაფერია. ჩვენი პირუტყვი მთიდან ფერმასთან ერთად წაიყვანეს.

ახლა ის დროა, ყველა ქართველი ერთად, ერთ მუშტად უნდა გავერთიანდეთ, საერთო მტერს ერთიანობით და გონიერებით ვაჯობოთ, იმის დრო აღარაა, ვინ ვისი მომხრეა, საქმე ჩვენი მიწის გახლეჩას ეხება, საქართველოს მთლიანობას, მის გადარჩენას ეხება.

ვიღაცას ზევით, ყოფილ იმპერიაში, სპაზმები ახრჩობს, ვერ ელევა ტკბილ ლუკმას. ჩვენი ერის დამოუკიდებლობა ყელზე ადგას და საქართველოსათვის ამ ულამაზესი მხარის მოგლეჯას ლამობს. ამიტომ გვმართებს ერთიანობა, ერთმანეთის თანადგომა, ყაჩაღობა და პირადი გამდიდრებისათვის უკადრებელის კადრება კი არა, ხალხო, ერთმანეთის სიყვარული თუ გადაგვარჩენს.

## ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრების უკეთ ორგანიზაციის მიზნით შემუშავდა გრაფიკი:

**24 სექტემბერს** — ლაჯანის სასოფლო კულტურის სახლში — დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატები შეხვდებიან ორბელის, ლაჯანის, წილამიერის, სპათაგორის, უსახელოს, ლაილაშის, თაბორის და სურმუშის საარჩევნო უბნების ამომრჩევლებს.

**29 სექტემბერს** — ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში — ქალაქ ცაგერის, ქვედა ცაგერის, ჩხუტელის და ლუხვანოს საარჩევნო უბნების ამომრჩევლებს.

**30 სექტემბერს** — წიფერჩის სასოფლო კლუბში — წიფერჩის, ჩქუმის, ზუბის, ისუნდრის და ოყურეშის საარჩევნო უბნების ამომრჩევლებს.

**2 ოქტომბერს** — ალპანის სასოფლო კულტურის სახლში — ალპანის, ზოგიშის, საირმის, [illegible]ისა და ტვიშის საარჩევნო უბნების ამომრჩევლებს.

**6 ოქტომბერს** — ლასურიაშის სასოფლო კულტურის სახლში — ლასურიაშის, დეხვირის, მახაშისა და ალვის საარჩევნო უბნების ამომრჩევლებს.

**8 ოქტომბერს** — ლვირიშის სასოფლო კლუბში — ლვირიშის, უცხერის, ნასპერისა და ნაკურალეშის საარჩევნო უბნების ამომრჩევლებს.

შეხვედრები ყველგან დაიწყება დღის 3 საათზე.

გარდა ამისა, დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატები თავიანთი სურვილისა და შეხედულების მიხედვით ამომრჩევლებს შეხვდებიან ნებისმიერ დროს ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**საოლქო საარჩევნო კომისია.**

## საოლქო საარჩევნო კომისიაში

საქართველოს პარლამენტის არჩევნების ცაგერის № 45 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შეტანილია ცვლილებები. კერძოდ, ლასურიაშის საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ნაცვლად კარლო აკაკის ძე კანაჩაძისა არჩეულია **ვახტანგ დავითის ძე ბენდელიანი**, ხოლო ჩხუტელის საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობას დაემატა **მარინე ზურაბის ასული სვანიძე**.

**საოლქო საარჩევნო კომისია.**

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების შესახვედრად

მკითხველთა თხოვნით ვიწყებთ მასალების გამოქვეყნებას არჩევნებში მონაწილე პარტიებზე. დღევანდელი ნომრის სტუმარია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი, ჩვენი თანამშრომელი ნანა გასვიანი.

# ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

ახლოვდება 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რომლის განუზომელ მნიშვნელობაზე საუბარი, იქნებ ზედმეტიც კი იყოს, მაგრამ, მოდით კიდევ ერთხელ, თითოეულმა ჩვენთაგანმა, საარჩევნო ხმის უფლების მქონემ, ბოლომდე გავიცნობიეროთ ჩვენ-ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და საარჩევნო ყუთებთან იმ შეგნებით მივიდეთ, რომ ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული თუ როგორ საქართველოში ვიცხოვრებთ ხვალ, შევძლებთ თუ არა დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს შექმნას და მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა ოჯახში დამკვიდრებას.

ღმერთმა დაგვიფაროს, არ გავითვალისწინოთ 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნების მწარე გაკვეთილი და ამჟამადაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რომელიმე ერთი პოლიტიკური ძალა აღმოჩნდეს. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ძალაუფლების უზურპაცია, სასურველია რესპუბლიკის პარლამენტში წარმოდგენილი იყოს საქართველოში ამჟამად არსებული ყველა რეალური პოლიტიკური ძალა, ინტელიგენციისა და საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ამრიგად, თუკი არჩევნების შედეგად პარლამენტში მივიღებთ ფართო პოლიტიკურ სპექტრს, ჩემის აზრით, ეს იქნება იდეალური ვარიანტი, რადგანაც, დღესდღეობით, საქართველოში მოქმედ არცერთ პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებას არ ეყოფა არც პოლიტიკური სიმწიფე და არც ინტელექტუალური პოტენციალი იმისთვის, რომ მარტოდმარტომ იტვირთოს და შესძლოს ქართული სახელმწიფოებრიობის შენება. გარდა ამისა, ერთპარტიულობამ და უნიტარული მართვის სადავეებთან არაკომპეტენტური, ზნეობის დეფიციტის მქონე ადამიანების მისვლამ, რა დღეშიც ჩაგვაგდო, ამას ყველა ჩვენთაგანი ხედავს.

და მაინც, რაკი თავად ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი გახლავართ, მინდა ამ საზოგადოებაზე ვთქვა ზოგიერთი რამ. რასაკვირველია, მე ვერ მექნება პრეტენზია, რომ ამომწურავად გავაშუქო საზოგადოების მიერ განვლილი გზა და მისი საქმიანობა (თუნდაც იმიტომ, რომ ამას ერთი საგაზეთო წერილი ვერ დაიტევს), მაინც შევეცდები, გარკვეული წარმოდგენა შეგიქმნათ მასზე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება შეიქმნა 1987 წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟზე. ეს იყო პირველი არაფორმალური პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც გააერთიანა ყველა ქართველი დისიდენტი, ქართული საზოგადოებრიობის არა ერთი საუკეთესო წარმომადგენელი (აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში არა მარტო მხოლოდ ბატონი ზვიად გამსახურდია, თავისი ცნობილი მონანიებისა და სხვა ამგვარ „დამსახურებათა" გამო).

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება პრიორიტეტს ყოველთვის ბრძოლის მშვიდობიან პარლამენტურ ფორმებს ანიჭებდა, არ იზიარებდა უადგილო რადიკალიზმს და ოფიციოზის წინაშე აყენებდა ისეთ მოთხოვნებს, რომელთა გადაჭრა კონკრეტული მომენტისათვის შესაძლებელი იყო. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება არჩევნებში მონაწილეობის მომხრე იყო მაშინაც, როდესაც იმჟამად არსებული თითქმის ყველა არაფორმალური პოლიტიკური ძალა არჩევნების ბოიკოტისაკენ მოუწოდებდა ერს (25 მარტის ჩაშლილი არჩევნები). ეს გახლდათ ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მიზეზი იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება გაათკეცებული თავდასხმების ობიექტი გახდა არა მარტო ოფიციოზის მხრიდან, არამედ ზ. წ. „შეურიგებელი ოპოზიციის" მხრიდანაც.

ერთოდ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას არ უყვარს ავანტიურით მოფენილ გზაზე სიარული. ცილისწამება, ლანძღვა-გინება, დევნა, შევიწროება — რა არ გადაიტანა თავისუფლებისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე.

არ შეიძლება, ზოგადად მაინც არ აღვნიშნოთ ჭავჭავაძის საზოგადოების ძალზე წინდახედული, ფაქიზი დამოკიდებულება ეთნოკონფლიქტებისადმი.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სფეროში ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ხელმძღვანელობს იმით, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და ისტორიული ბედის გამო ქართველებთან ერთად ყოველთვის ცხოვრობდნენ სხვა ერთა წარმომადგენლები, რომელთა მიმართაც ქართველმა ხალხმა გამოიჩინა ჭეშმარიტად ქართული, მოყვარე დამოკიდებულების ტრადიციები. საზოგადოება თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარებდა და კვლავაც იხმარს საქართველოში ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის, ეთნოკონფლიქტების პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრისათვის. მაგრამ, ისიც უნდა განვაცხადო, რომ ჭავჭავაძის საზოგადოება ყოველთვის შეურიგებელი იყო და იქნება სეპარატიზმის ნებისმიერი გამოვლინებისადმი, იგი კვლავაც იბრძოლებს თითოეული გოჯი ქართული მიწისათვის.

საზოგადოების ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოს გაზეთი „ივერია", რომლის აღდგენაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ რაინდს, სულკურთხეულ ზურაბ ჭავჭავაძეს. გაზეთმა დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის გამოფხიზლების საქმეში.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ ნაკეთები მრავალი ეროვნული საქმიდან მინდა ერთ-ერთი გავიხსენო, რამეთუ იგი დაკავშირებულია წარმოშობით ლეჩხუმელი კაცის, ნამდვილი პატრიოტის ბატონ ჯუმბერ კოპალიანის სახელთან. მას რამის წლის უდევს დმანისის რაიონში დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღების საქმეში. ბატონმა ჯუმბერმა არქივებში მძიმე და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ისტორიული ბედუკუღმართობით ეროვნებადაკარგულ და გვარდაკარგულ ასობით ქართველს დაუბრუნა ეროვნება და საკუთარი გვარი. მან, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დმანისის რაიონს საკუთარი თეატრი ჰქონოდა და ამ ძირძველ ისტორიულ მიწას ქართული სიტყვის მადლი არ მოშლოდა.

ჭავჭავაძის საზოგადოება იბრძვის ეროვნული და პიროვნული თავისუფლებისათვის, რამეთუ ეროვნული თავისუფლება არ არსებობს პიროვნული თავისუფლების გარეშე და პირიქით. თავის მოღვაწეობაში საზოგადოება ხელმძღვანელობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით და ცივილიზებულ სამყაროში აღიარებული ზნეობრივი წესებით.

საზოგადოებას მიაჩნია, რომ უნდა დაჩქარდეს ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანი კომუნისტური სტრუქტურების დემონტაჟი, ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებზე დამყარებული ახალი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების შექმნა. ეკონომიკის სფეროში პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია საკუთრების განსახელმწიფოებრიობა [illegible] და მომსახურების [illegible] პრივატიზაცია.

ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ საზოგადოების სტრუქტურასა და მართვაზე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობისა და დარბაზის წევრები არიან ყოფილი პოლიტპატიმრები: ქალბატონი თამარ ჩხეიძე, ბატონები ბორის კაკუბავა, ტარიელ ღვინიაშვილი, ვახტანგ ძაბირაძე, მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბატონი ნიკო ჭავჭავაძე, უდიდესი მეცნიერი ბატონი ზურაბ კიკნაძე, პროფესორები ოთარ გაბიძაშვილი, რაულ კუპრავა, მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი, კინორეჟისორი ნანა მჭედლიძე, ბატონ ჯუმბერ კოპალიანზე ზემოთ მოგახსენეთ, მწერალი ანზორ აბჟანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ვალერი ვაშაკიძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თემურ ლომაია და სხვები.

მგონი, სიტყვა გამიგრძელდა, ჩემს მომთმენ მკითხველს კი მსურს ქუთაისის რეგიონალური განყოფილების მისამართი შევთავაზო — ვინძლო ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გაგიჩნდეთ: ქუთაისი, ბროსეს ქუჩა № 7, ტელეფონი: 5-51-87.

ძვირფასო ლეჩხუმელებო! ხმა მიეცით ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას. მერწმუნეთ არ ინანებთ!

**ნანა გასვიანი,**
**ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი, ქუთაისის „საქჰიდროენერგომშენის" რკინა-ბეტონის ქარხნის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი.**

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი აირჩევა 3 წლის ვადით. 150 დეპუტატი აირჩევა პარტიული სიებით მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე, 84 დეპუტატი აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქების მიხედვით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო ერთი დეპუტატი — პარლამენტის თავმჯდომარე — აირჩევა სრულიად საქართველოს მიერ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები საყოველთაოა. არჩევის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც 23 წელი შეუსრულდა და საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლისა, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, პოლიტიკური შეხედულებების, სარწმუნოებისა და საქმიანობის მიუხედავად.

არჩევნების ნორმალურად ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა სიების დროულ და ხარისხიან შედგენას.

## ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა სია დგება ცალკე თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

სიაში შეაქვთ ამომრჩეველთა სახელი, მამის სახელი, გვარი დაბადების თარიღი და მისამართი.

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომლებიც სიის შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ საარჩევნო უფლება.

ამომრჩეველთა სიები, საყოველთაო გაცნობისათვის საარჩევნო უბანში გამოიკვრება არჩევნებამდე 10 დღით ადრე.

საუბნო საარჩევნო კომისიები ამომრჩევლებს ურიგებენ ამომრჩევლის ბარათებს, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩევლის გვარი და სახელი, ამომრჩეველთა სიაში რიგითი ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი.

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უზუსტობანი. სიაში უზუსტობის დაშვების შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს — დაუყოვნებლივ, განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება.

თუ ამომრჩეველმა რესპუბლიკის, ოღონდ არა ერთი და იმავე დასახლებული პუნქტის, ფარგლებში ადგილსამყოფელი შეიცვალა, ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან ხმის მიცემის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარდგენილი პასპორტის ან მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთების საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას, რის შემდეგაც იგი ამოღებული იქნება ამომრჩეველთა სიიდან.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

# სკოლა — საფიქრალი ჩვენი

დასასრული

ზემოთ ჩამოთვლილი, და კიდევ სხვა მრავალი საკითხის გადასაჭრელად მთელი საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა და ზრუნვაა საჭირო, მხოლოდ ცალკეულ ინდივიდთა ინიციატივას შედეგი არ ექნება.

ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის გადასაწყვეტად ცოდნაა საჭირო, ცოდნას კი სკოლა იძლევა და თუ მას დროზე არ ვუშველით, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებაც შეფერხდება, ადამიანის ფსიქიკური წყობაც დაირღვევა და ვერც ჰუმანურ იდეებს განვახორციელებთ. „თუ გულწრფელად გსურს მშიერს დაეხმარო, პურს კი ნუ მისცემ, მასი მოყვანა ასწავლეო", გვარიგებენ დიდი სიბრძნის მოციქულნი და ამის დავიწყება არ შეიძლება.

**გიორგი მანდარია,**
საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო-სასწავლო საწარმოო გაერთიანების „ინფორმატიკა" მეთოდური ჯგუფის ხელმძღვანელი.

დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შვილდი რომ არ დაიმტვრას, საჭიროა სულოვნება“

ჰაინე

*

# მშვილდი, რომელსაც ზომიერად უნდა მოზიდვა

„ადამიანის შემოქმედებითი გენიის ტრიუმფი, სახეებში ხორცშესხმული ოცნება, ფიქრი და სილამაზე. ჯადოსნური ფუნჯის ან საჭრეთელის შეხებით თითქოს გაქვავებული, მაგრამ მაინც მოძრავი და ცვალებადი სინამდვილე... ქალის მშვენიერება და მამაკაცის ძლიერება, ცისა და მიწის მომხიბვლელობა, სიცოცხლის ჰიმნი, ხილული იდეალი“, — ესაა ხელოვნება, წერს აკაკი ბელოვანი. იგი უდიდესი და უზენაესი ნიჭია ადამიანის შემოქმედებითი წვისა. ღმერთმა ყველა ჩვენთაგანს მეტნაკლებად გაუნაწილა ეს ნიჭი, ზოგი მხოლოდ მოყვარულია, ზოგსაც ცხოვრების არსად და მიზნად დაანათლა მისი სამსახური. დიდი შემოქმედება კი ამ მცირე სახელოსნოდან იწყება, რასაც სამხატვრო სკოლა ჰქვია. აქ იწყებს მოზარდი ხელოვნების ანა-ბანას შეცნობას და შემდეგ დასაპყრობი მწვერვალებისაკენ...

ცაგერი, 1982 წელი.

დიდი დავიდარაბის შემდეგ გადაწყდა სამხატვრო სკოლა გახსნილიყო აქ, ყოფილი სასტუმროს შენობაში (იდეა თავიდან ლაჯანელებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მოგეხსენებათ ყველაფერი ცენტრალური სისტემით კეთდებოდა, თუმცა ეს არ იყო მთავარი, მიუხედავად იმისა, რომ შენობა საკმაოდ შეუფერებელი იყო, ლეჩხუმის გულში უკვე არსებობდა ხელოვნების ტაძარი!)

დირექტორად ვახტანგ ჯაყელი დაინიშნა.

მისაღები გამოცდები...

მოლბერტთან მიმჯდარი თუთიხით ხელებგასვრილი, ოფლით შუბლდაცვარული, თვალებგაბრწყინებული პირველი მოსწავლეები... მთელი ოთხი წელიწადი საყვარელ პედაგოგებთან ერთად ხელოვნების საიდუმლოებაში წვდომა, ახლის, მანამდე უხილავის შეცნობა, სუნთქვაჩადგმული უსულო საგნები, გაცოცხლებული წარსული და ნაოცნებარი მომავალი.

1986 წელი. პირველი გამოშვება და ამის შემდეგ ყოველ წელიწადს ახალ-ახალი ჯგუფები უსხდებოდნენ სამხატვრო სკოლის მერხებს, ისევ ყველაფერი თავიდან იწყებოდა: ფუნჯი და მოლბერტი, საჭრეთელი... ისევ იმის განცდა, რომ შენ ფლობ იდუმალ ძალას, ძალგიძს სული ჩაუდგა უსულოს, გააცოცხლო უსიცოცხლო. იდეალად ქცეული მიქელანჯელოსეული სიტყვები: „სასურველ შვებას ვერავინ ეზიარება,

ვიდრე არ მივა სიცოცხლის და ხელოვნების მიჯნამდე“.

მოსწავლეების სულს კი სკოლის პედაგოგები ასაზრდოებდნენ ისე, რომ სწორად ყოფილიყო მიმართული მათი ნიჭი და უნარი, მისწრაფება და ოცნება, ყველა მათგანისაგან მაქსიმალურად გამოწვლილული შესაძლებლობა, და ყველასთვის თანაბრად განაწილებული სითბო და ყურადღება. დღესდღეობით ამ სკოლის ყველა პედაგოგი სპეციალისტია, თანაც რაიონის მკვიდრი. სკოლის დირექტორია რომან ტვილდიანი, იგი სკოლის გახსნისთანავე მოვიდა აქ და დღესაც ამ სკოლიდან, მისი მოსწავლეებიდან იწყება ფიქრი და საზრუნავი ახალგაზრდა მხატვრისა: „ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ აქ მოსულ ახალგაზრდებს ხელოვნების თანაზიარით ვხდით, ვასწავლით საგანში, მოვლენაში სილამაზის, მშვენიერი წამის დაჭერას, ვაძლევთ იმ აუცილებელ ცოდნას, რაც ალბათ ყველა ადამიანისათვის სავალდებულოა, მისი სულის სილამაზისთვის და კეთილშობილებისათვის“.

ნუგზარ კოპალიანი (გრაფიკოსი) ახალგაზრდა სპეციალისტი, 1987 წელს ჩამოვიდა მშობლიურ რაიონში. არ უყვარს თავის თავსა და საქმიანობაზე ბევრი ლაპარაკი. შესანიშნავი სპეციალისტიაო, მეუბნება რომანი და მეც უყოყმანოდ ვიჯერებ, რადგან ნუგზარის შემოქმედებასთან ჩემი შეხვედრა პირველი არ არის. მე მხოლოდ ორი მათგანი გავიცანი, აქ კი კიდევ ოთხი პედაგოგი ემსახურება ახალგაზრდების სულის სილამაზის ჩამოყალიბებას.

მოსწავლეებზე რას მეტყვით, ვეკითხები რომანს და ნუგზარის.

კარგი ახალგაზრდები მოდიან ჩვენთან, მოდიან ჭეშმარიტი მისწრაფებით და ფაქიზი სულით. სიამოვნებას განიჭებს ყველა მათგანთან მუშაობა, ვავსებთ ერთმანეთს, ჩვენ ვაჩვევთ, ვასწავლით, ვუსწორებთ, ისინი კი თავიანთ ნამუშევრებში თავისებურად გაიაზრებენ ყველაფერს, რაც ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საინტერესოა. სკოლის რამდენიმე კურსდამთავრებული ზაზა მეშველიანი, ლევით შკუბულიანი, ლალი ხვადაგიანი და თემურ ჭილვარია თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები გახდნენ სხვადასხვა დროს. ეს მათი ნიჭიერების გარდა სკოლის და პედაგოგების დამსახურებაა.

პრობლემები? პრობლემები იგივეა მათთვის, რაც მათი კოლეგებისათვის. სამუშაო მასალის უქონლობა, სიძვირე და დეფიციტი, ამას ემატება შესაფერი შენობის პრობლემაც. და მაინც მაინტერესებს თავად მითხრან რა აწუხებთ... ისინი ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ, ... ლოდ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას და ჩემებურ ახსნას ვუძებნი დუმილს... ახლა ... ური დიდი პრობლემები აწუხებთ ქართველ... ... ქ რა მოსატანია.

გაგვიგრძელდა ... საპირისპირო პროფესიის ადამიანები ვსხედვართ პირისპირ: მე და ისინი, — ჟურნალისტი და მხატვრები, ჩემი ფუნჯი და საჭრეთელი სიტყვაა, ჩემი ... ლი არ შეიძლება, რადგან ჩემი პროფესია არ მაძლევს ... ს ნებას, მხატვრები კი ... უტად დუმან, მათ საუბარი ... ეხერხებათ, ან არ უყვართ. ნაჩვევი არიან გრძნობის და გონების, ნაფიქრალის თუ ... ფიქრალის მასალაზე ნატიფად გადატანას, თუ გაიგებ და ამოიკითხავ, ხომ კარგი, თუ ვერა და მაშინ ნათქვამსაც აზრი არა აქვს... და ამიტომაა ლირებული ალბათ მათი დუმილიც.

სამხატვრო სკოლა ახლა ახალ მოსწავლეებს ელოდება, მეშვიდე გამოშვებისას, სიამოვნებით უღებს კარს და ეპატიჟება ხელოვნების პაწია ტაძარში. 20 სექტემბერი — პირველი გამოცდები გადაწყვეტს ვინ მიუსხდება მერხებს პირველი გაკვეთილის მისაღებად.

„ბერძენი მხატვრები არაფერს არ ასახავდნენ მშვენიერების გარდაო, — წერს ლესინგი, ამიტომაა მშვიდი ბადროს მტყორცნელის სახე, მწყრალი ათენა, ოქროს ისრის მტყორცნელი აპოლონი, მეხთამშენი ზევსი და ჩემი კეთილი სურვილია წვრილმანი პრობლემების თუ ბიუროკრატიული წინაამდეგობების გარეშე, ჭეშმარიტი მშვენიერების ასახვის სამსახურში ყოფილიყვნენ სამხატვრო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები.

**მადონა მახაროგლიძე.**

## გილოცავთ

**ია ასათიანს, ჯემალ კოპალიანს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. სასახელო ქალი გაზრდილიყოს.

**ქეთევან ახვლედიანი, მიშა უგრეხელიძე, ოტელო მდივანი, პლატონ ირემაძე.**

---

**ლამზირა, შურმან ყურაშვილებს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

**ნათლული მაკა ბრეგვაძე.**

---

**გულო, ბიძინა გუბაევებს**

გილოცავთ ირმას ბედნიერებას. სიხარული ნუ მოგაკლოთ ღმერთმა.

**უუუნა, რუბენ დავითულიანები.**

---

**ლია, კარლო კვირკაშვილებს**

გილოცავთ მაკას სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვას.

**არქიტექტურის თანამშრომლები.**

---

**ირმა მიქაძეს, გია ირემაძეს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. იმრავლეთ, იბედნიერეთ.

**ლაშა ბურჯულიანი ოჯახით.**

---

**ლერი ლავრენტის ძე სილაგაძეს**

გილოცავთ ინსტიტუტში მოწყობას.

**ლიდა ბობოხიძე, ელისო, ზვიად სილაგაძეები.**

---

**ლენა ჩორგოლიანს**

**ნათელა ქარსელაძეს**

**ვალოდია თოდიძეს**

გილოცავთ შვილიშვილების შეძენას. ფარავდეთ ღმერთი.

**გურამ ჩაფრავა, პარიმონ, თამაზ ხეცურიანები, ავთო ჩორგოლიანი, ბიჭიკო ქარსელაძე, შერაგ ყვირილიანი, ჯიმშერ ახვლედიანი, მარო სალინაძე, ზაურ ომანაძე, გენადი ჭაბუკიანი ოჯახებით.**

---

**წანა ცვარიანს, ზურიკო ყურაშვილს**

გილოცავთ შვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

**ალეკო, ნინო, მარინე, ელისო ცხვედიანები, ქეთინო, თამუნა ხუციძეები.**

---

**მერი ცხვედიანს, სოზარ ცვარიანს**

გილოცავთ პირველი შვილიშვილის შეძენას.

მრავალ შვილიშვილს აეხმიანებოდეს თქვენი ეზო-კარი.

**როლანდ, ოლეგ ცხვედიანები ოჯახებით.**

---

**ნუნუ ჩაკვეტაძეს**

**ჯემალ ცვარიანს**

**ციცო კოპალიანს**

**ელვარა გურჯალიანს**

**ციცო ნემსწვერიძეს**

გილოცავთ დათოს, თემურის, მაკას, ეკას და ნანას უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას.

**ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

---

**მათიკო ახვლედიანს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

**ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

---

**მაყვალა მურცხვალაძეს, გენადი კოპალიანს**

გილოცავთ ელისოს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

**მახაშის არასრული საშუალო სკოლის კოლექტივი.**

---

**მარო ჟიჟინაძეს, გალაქტიონ ჟაგუკიანს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

**მახაშის არასრული საშუალო სკოლის კოლექტივი.**

---

**მაყვალა, იური ომანაძეებს**

გილოცავთ ალუდას უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

**როზა, კაკო ხაბულიანები.**

---

**ციცო, მურმან გუბაევებს**

გულითა და სულით გილოცავთ სამივე შვილის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

**ჯუმბერ ბეჟდელიანი ოჯახით.**

---

**ელისო კოპალიანს, ელზა ხეცურიანს**

გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

**თამრიკო, თინიკო ჭაბუკიანები.**

---

**ნინო ჯუმბერის ასულ ნემსწვერიძეს**

გილოცავთ ინსტიტუტში ჩარიცხვას.

**ცარო, ნატო, მელორი.**

---

**ლამარა, ოლეგ ლარცულიანებს**

გილოცავთ შვილის, გიას, ბედნიერებას.

**ლაცორიის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.**

---

**გულნაზი, ჯუსტან გურჯალიანებს**

გილოცავთ შვილების, ეკასა და გიორგის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

**კურორტ „ლაშიჭალის“ თანამშრომლები.**

---

**ეთერ, გრიშა ბენდელიანებს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

**სპორტკომიტეტის, სპორტსკოლის, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თანამშრომლები.**

---

**მთვარისა, გურამ გურჯალიანებს**

გილოცავთ შვილიშვილების შეძენას, გაზრდილიყვნენ ერის საამაყო შვილები.

**კურორტ „ლაშიჭალის“ თანამშრომლები.**

---

**გუგული ნემსწვერიძეს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

**გოგუცა ოჩიანი, ლამზირა სალინაძე, რუსიკო არჯევანიძე, ლილი გურგუჩიანი, თამარ ასათიანი, ნინელი მუშკუდიანი, ნონა სვანიძე, ნორა მეშველიანი, დაშა კვირკაშვილი, ნინო კალანდაძე, ზაირა სილაგაძე.**

---

**ცარო, მელორ მამარდაშვილებს**

გილოცავთ ნატოს დაბადების დღეს.

**შემნახველი ბანკის თანამშრომლები.**

ლიახვი №37 (6531) 17 სექტემბერი 1992 წ.

# სპილენძის „მომპოვებლებს" რისხვა არ აცდებათ

განუკითხაობა, ქაოსი ხელს აძლევს ბანდიტებს, ქურდებს, ბოროტმოქმედებს თავიანთი შავბნელი საქმეების კეთებაში. სამწუხაროდ, დღეს ასეთ შემთხვევებს ადრინდელ მშვიდ ლეჩხუმშიც ვხვდებით. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იმძლავრა დანაშაულობებმა.

სამართალდარღვევების, დანაშაულობების ზრდა ქვეყანაში არსებული გართულებების გარდა იმის შედეგიცაა, რომ საზოგადოება მხარში არ უდგას ადმინისტრაციულ ორგანოებს. ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი არაფრად თვლის მის ობიექტზე მომხდარ წვრილმან ქურდობას, ზოგიერთი არც კი ამხელს ასეთ ფაქტებს. ბევრგან ობიექტებს, სახელმწიფო ქონება დაუცველია და ხელუკუღმართებს, ხელმრუდეებს, ბოროტმოქმედებს ქურდობისა და დატაცების საშუალება ეძლევათ.

ცაგერის მრავალდარგობრივი საბინაო კომუნალური მეურნეობის მუშაკებმა შენიშნეს, რომ ქალაქის ცენტრალური გათბობის საქვაბე მეურნეობაში ბოროტმოქმედები შესულან და წვრილმანი რაღაცეები მოუპარავთ. როგორც ჩანს, ეს იყო ავისმზრახველთაგან დაზვერვა, რომ შემდეგში ძრავები გაეძარცვათ. კომუნალური მეურნეობის მუშაკებმა საქვაბიდან გამოიტანეს ისეთი ხელსაწყოები, რომელთა იოლად წაღება შეიძლებოდა ბოროტმოქმედების მიერ და იმ იმედით, რომ დიდ ძრავებს ვერ მოიპარავდნენ, მოადუნეს ყურადღება ამ ობიექტისადმი.

ნათქვამია—ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. სწორედ ასე 25 აგვისტოს, საქვაბის შენობას ჩამოხსნეს კარები, სპილენძის „მოპოვების" მიზნით ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გაძარცვეს ძვირადღირებული ძრავები. ძრავები კი არ წაუღიათ, არამედ დაუშლიათ, ამოუღიათ სპილენძის ხვიები, ისეთი ძნელი სამუშაოებია შესრულებული, რომ უნდა ვიფიქროთ არა მარტო ერთ ღამეს და ისიც სიბნელეში, (არც ერთი ელექტრონათურა არ არის შენობაში, ადრე მოუპარავთ) არამედ შეიძლება დღისითაც მუშაობდნენ და ნუთუ ვერავინ შენიშნა ზეთის სატუმბი 35 კილოვატიანი 3 ძრავის, წყლის სატუმბი 25 კილოვატიანი 2 ძრავის და 75 კილოვატიანი სათადარიგო 2 ძრავის დამშლელები და გამძარცველები, რასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა.

ასე რომ, ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს და მწყობრიდან გამოიყვანეს საქვაბე მეურნეობის ყველა ძრავა. აღნიშნული ფაქტის შესახებ კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობამ ოპერატიულად აცნობა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას, მიმდინარეობს ძებნა, მაგრამ ჯერჯერობით გამოვლენილი არავინაა.

ქალაქის ცენტრალური გათბობის საქვაბე მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობას და საწვავის (მაზუთის) დეფიციტს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ თუ რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული, წლევანდელ ზამთრის სეზონში ცენტრალური გათბობის სისტემა არ ამუშავდება. ამიტომ წარმოება-დაწესებულებებმა, საბავშვო ბაგა-ბაღებმა, კომუნალურ საცხოვრებელ ბინებში მცხოვრებლებმა, რომლებიც ცენტრალური გათბობის სისტემით სარგებლობენ, ზამთრის თბობის სეზონისათვის უნდა გამოძებნონ სხვა საშუალებები.

სპილენძის „მომპოვებლებმა", რომლებმაც მწყობრიდან გამოიყვანეს ქალაქის ცენტრალური გათბობის საქვაბე მეურნეობა, ზუბის რეგიონში კი რამდენიმე კილომეტრი კაბელი ჩამოხსნეს და შეაფერხეს სატელეფონო კავშირები. უთუოდ უნდა გამოავლინოს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ამ საქმეში მათ მხარში უნდა ამოუდგეს საზოგადოება.

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**ნუნუ მუშკუდიანს, შიო იმანაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი!

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

---

**დარეჯან გორგიანს, გია გოგებაშვილს**

გილოცავთ დაქორწინებას.

მაიზერ, მაგული, შმაგი გურგუჩიანები, მზია, მერაბ მოსეშვილები.

---

**მარიკა მეგრელს, თენგიზ მანდარიას**

**ჟოზეფინა გუგავას, ზაზა გოგოხიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძემძლიერი ოჯახი.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი.

---

**ირმა გუგავას, მამუკა ქარსელაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძემძლიერი ოჯახი.

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

## ხსოვნა

# ტარიელ (ტაზო) სოგრატის ძე კოპალიანი

შემოდგომაა.. ბარაქიანი, ოქროსფერი შემოდგომა. ჩვენ კი... შენი სიკვდილის შემდეგ გულები გაგვიქვავდა სიხარულისა და ბედნიერების ნაპერწკალივით წაგვართვი, ბიჭო! შენი წასვლის შემდეგ ყაყაჩოფერს ხიბლი წაერთვა ჩვენთვის, ტაზო!..

მეათე შემოდგომაა შენი წასვლის შემდეგ, შვილო!—მეათე შავი და ცრემლიანი შემოდგომა. მთა გიყვარდა უსაზღვროდ, ახალქალის ბუნების სილამაზეში დატოვე შენი ფაქიზი სული... ვაი, რომ ვერ მოგეხვიეთ დამტვრეულ მხრებზე ვერ ჩაგიხუტეთ გულში და ვერ დაგიხუჭეთ თვალები ჩვენო ნაწამებო ბიჭო!..

შენი ტოლები ახლა ქრისტეს ასაკში არიან, შენ კი სამუდამოდ 18 წლისა დარჩი. ქორწილების სეზონი დგება, მეათე შემოდგომაა სიკვდილთან შენი უღბლო ქორწილის შემდეგ. ქვეყანა დაბნელდა და ჩვენც სამუდამოდ შავი სამოსი ჩავიცვით შენს სახსოვრად, შვილო!

იმ თვეში ჯარში უნდა წასულიყავი... ვაი, ჩვენს გამწარებულ სიცოცხლეს! რაც დრო გადის, უფრო ცოცხალ მონატრებად გვექცი, ტაზო, ოჯახის პირველო სიხარულო და პირველო უბედურებავ!

ძნელი არის სიცოცხლე უშენოდ, ჩვენო ლამაზო ბიჭო!

**შენი ტანჯული დედ-მამა, შენი ემზარი და ნატო.**

---

მეუღლე ნინა, შვილები ნარგიზა, ვიოლეტა, სვეტლანა, დები ნორა, რუსიკო, მარო, ძმა რეზო, ძმისშვილები ბადრი, ჯონი, გოგი, სიძეები იუზა სილაგაძე, ავთო ბენდელიანი, ავთო ჯანაძე, კუჭიკო ბურჯალიანი, ბიჭიკო ნემსწვერიძე, სერგო ახვლედიანი, გურამ დავითულიანი, რძლები კლარა, ფოთოლა, შვილიშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯიუ ალექსის ძე გურგუჩიანი.**

დაკრძალვა 19 სექტემბერს, შაბათს, სოფ. ორბელში.

---

თინა ფოჩხიძე, შოთა გუგავა ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯანიკო, გურამ მეგრელებს შვილისა და ძმისშვილის

**ნუნუ მეგრელის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის XI ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ელვარა ბურჯალიანი თანაუგრძნობენ სოფო ჩიკვაიძეს ბიძის

**ჟორა ჩიკვაიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ლეილა, მათიკო, ვიტალი, ზაური, დები მარო, სონა, რძლები ნაზიკო, ციცო, ნაირა, მარი, სიძეები მურთაზ ახვლედიანი, შაქრო ცხოვრება ძე, ოთარ თუთბერიძე, შვილიშვილები ეთერი, ბადრი, ამირან, ახვლედიანები, მილანო, ზაზა ცხოვრებაძეები, შვილთაშვილები დათო, მურთაზ, ლელა, სოფიკო, თამარი, ქეთევანი, მაზლისშვილები, დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნადია ივანეს ასული მეშველიანი-ლაზარიანი.**

დაკრძალვა 19 სექტემბერს შაბათს, ქ. ცაგერში.

---

ლეილა, მედიკო ნემსწვერიძეები ლოლა ალავიძე, დომნა უგრეხელიძე, მანანა ბანძელაძე, ციალა ონიანი, მაკა ქვარიანი, ნონა, ნარგიზა ასათიანები თანაუგრძნობენ თემურ, იზო ასათიანებს დისშვილისა და მეულისშვილის

**მაყვალა ბიძინას ასული მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ომარი, გელა, გოგუცა, შვილიშვილები ვალერი, მალხაზი, ნინო, ტარიელი, კუკური, ლუიზა, ლუარა, დალი, შოთა, სიძე ვანო გოდოლაძე, რძლები კლარა ხმელიძე, ლედი ქლიბაძე, რუსუდან მეგრელი, დალი მდივანი, თამრიკო გარსევანიშვილი, შვილთაშვილები, დისშვილები, დისშვილიშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სონა ფილიპეს ასული ჩხეტიანი-ქაბუკიანი.**

დაკრძალვა 19 სექტემბერს, შაბათს, სოფ. დეხვირში.

---

გოგი გვიშიანი ოჯახით თანაუგრძნობს ლამარა, ბიძინა მანდარიების ოჯახს

**მაყვალა მანდარია-გოხუას**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ლენა, კუკური მდივნებს სიძის

**ზაურის**

გარდაცვალების გამო.

---

ქმები კოწია, ბუჭუ, ზაურ მეგრელები ოჯახებით თანაუგრძნობენ დას ნინას მეუღლის

**ჯიუ ალექსის ძე გურგუჩიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჭიჭიკო პირველი ოჯახით იუწყება რძლის

**მარიამ ნესტორის ასული ქობულაძე-პირველის**

გარდაცვალებას.

---

გოგი გვიშიანი ოჯახით თანაუგრძნობს მანანა, გულვერ სალინაძეების ოჯახს

**მაყვალა მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ლია, მათიკო, ანზორ გუგავები ოჯახებით იუწყებიან

**ნადია მეშველიანი-ლაზარიანის**

გარდაცვალებას.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს სულიკო მუშკუდიანს დედის

**ანეტას**

გარდაცვალების გამო.

---

გურამ ნემსაძე, ლერი სალინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯიუ ალექსის ძე გურგუჩიანი.**

---

გურამ დავითულიანი, ავთო ჯანაძე, ბადრი გურგუჩიანი, ავთო ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯიუ ალექსის ძე გურგუჩიანი.**

---

ქუჩუკა შკუბულიანი, მიშა ყურაშვილი, რუბენ გოგიძე, როლანდ ავალიანი, სერიოჟა თურქუმალიძე, ენგელ აფრიდონიძე, რეზო სალინაძე, დათო, ადაში, ჯონი, ზაზა დავითულიანები, მალხაზ ლიპარტელიანი თანაუგრძნობენ ჭიჭიკო პირველის ოჯახს რძლის

**მარო პირველის**

გარდაცვალების გამო.

---

პროფსასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლენა მდივანს

**ზაურ ქობულაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ქეთინო, ჯემალ ჩიკვაიძეებს მაზლისა და ძმის

**ჟორას**

გარდაცვალების გამო.

---

ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს სულიკო ახვლედიანს მეუღლის

**გრიშა ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

„ლიახვი" გამოდის ხუთშაბათს
ტირაჟი 2900 შეკვეთა №19
ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-?, რედაქტორის მოადგილის—22-35, სტამბის დირექტორის—22-17, სამწყობო საამქროს —22-28
რედაქტორის მოადგილე მ. ძნელაძე.
ცაგერის რაიონული სტამბა.